საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №8/2025
2025 წლის 11 მარტი

ქ. თბილისი

2025 წლის ოქტომბერში გასამართი მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის 2025 წლის ოქტომბერში გასამართი მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი დანართის სახით.

მუხლი 2

ცესკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის გამოყოფილი თანხები ჩაირიცხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გახსნილ საბანკო ანგარიშებზე.

მუხლი 3

აუცილებლობის შემთხვევაში, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ეფექტური ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით შესაძლებელია ხარჯების ცვლილების განხორციელება (გარდა დამხმარე და ტექნიკური პერსონალის ხარჯებისა), საოლქო საარჩევნო კომისიის დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული საოლქო და საუბნო ხარჯების ჯამური ოდენობის არაუმეტეს 15 პროცენტის ფარგლებში.

მუხლი 4

საოლქო საარჩევნო კომისიებს მიეცეთ უფლება წარმომადგენლობითი ხარჯები გაწიონ არაუმეტეს საოლქო საარჩევნო კომისიის დაზუსტებული ბიუჯეტის 1 პროცენტისა.

მუხლი 5

დაევალოთ საოლქო საარჩევნო კომისიებს ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან ყოველგვარი ანგარიშსწორება აწარმოონ მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

მუხლი 6

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილი**
კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**

დანართი

რიგითი №	ოლქის №	ოლქის დასახელება	საოლქო ხარჯები	საუბნო ხარჯები	დამხმარე და ტექნიკური	სულ ლარი

					პერსონალის ხარჯები	
1	1	მთაწმინდა	14,451	5,435	86,105	105,991
2	2	ვაკე	18,493	23,221	135,691	177,404
3	3	საბურთალო	20,114	32,147	153,786	206,047
4	4	კრწანისი	13,459	3,777	71,225	88,460
5	5	ისანი	17,493	29,070	113,173	159,736
6	6	სამგორი	18,797	22,522	141,467	182,786
7	7	ჩუღურეთი	12,129	5,844	90,880	108,853
8	8	დიდუბე	16,383	24,723	97,270	138,375
9	9	ნაძალადევი	19,677	24,825	153,827	198,328
10	10	გლდანი	18,560	18,375	141,654	178,589
11	11	საგარეჯო	13,048	12,709	62,190	87,947
12	12	გურჯაანი	14,450	9,907	88,365	112,721
13	13	სიღნაღი	13,563	4,787	66,140	84,489
14	14	დედოფლისწყარო	12,565	6,052	45,576	64,193
15	15	ლაგოდეხი	14,053	7,391	65,859	87,303
16	16	ყვარელი	13,400	5,171	68,852	87,422
17	17	თელავი	15,226	13,048	83,480	111,754
18	18	ახმეტა	12,923	5,006	61,077	79,005
19	19	თიანეთი	12,763	5,611	47,208	65,581
20	20	რუსთავი	16,753	18,343	111,565	146,661
21	21	გარდაბანი	14,035	14,668	69,940	98,642
22	22	მარნეული	16,022	21,438	96,290	133,749
23	23	ბოლნისი	14,889	9,867	92,806	117,561
24	24	დმანისი	13,652	9,065	74,888	97,605
25	25	წალკა	12,908	7,813	65,191	85,912
26	26	თეთრიწყარო	13,244	11,489	59,949	84,681
27	27	მცხეთა	11,474	7,715	69,052	88,241
28	28	დუშეთი	14,698	19,358	68,824	102,879
29	29	ყაზბეგი	7,372	2,375	44,158	53,904
30	30	კასპი	11,720	6,092	74,762	92,574

31	32	გორი	23,157	18,667	129,638	171,462
32	33	ქარელი	17,181	7,116	76,940	101,237
33	35	ხაშური	16,578	12,335	79,325	108,238
34	36	ბორჯომი	16,328	6,397	60,641	83,366
35	37	ახალციხე	13,593	6,550	73,313	93,456
36	38	ადიგენი	10,231	2,816	57,410	70,457
37	39	ასპინძა	9,655	4,036	48,483	62,174
38	40	ახალქალაქი	17,403	12,568	82,231	112,202
39	41	ნინოწმინდა	14,066	7,189	60,281	81,536
40	43	ონი	10,451	10,356	43,506	64,313
41	44	ამბროლაური	11,139	9,540	59,949	80,628
42	45	ცაგერი	13,874	11,306	54,186	79,366
43	46	ლენტეხი	15,201	8,544	47,446	71,191
44	47	მესტია	16,140	17,254	48,854	82,248
45	48	ხარაგაული	14,131	10,827	65,171	90,129
46	49	თერჯოლა	15,065	9,386	71,195	95,646
47	50	საჩხერე	16,712	14,934	98,399	130,044
48	51	ზესტაფონი	15,575	12,567	97,192	125,334
49	52	ბაღდათი	13,799	6,181	62,126	82,105
50	53	ვანი	13,946	5,741	66,787	86,473
51	54	სამტრედია	14,939	6,934	81,102	102,975
52	55	ხონი	13,867	4,015	67,189	85,070
53	56	ჭიათურა	16,735	12,809	100,907	130,451
54	57	ტყიბული	12,179	5,705	62,118	80,001
55	58	წყალტუბო	15,727	21,804	80,399	117,929
56	59	ქუთაისი	18,439	17,762	134,872	171,072
57	60	ოზურგეთი	17,238	9,296	93,375	119,909
58	61	ლანჩხუთი	12,071	7,676	74,342	94,089
59	62	ჩოხატაური	12,599	5,910	63,615	82,124
60	63	აბაშა	11,638	3,080	58,208	72,926
61	64	სენაკი	14,498	9,374	75,537	99,408

62	65	მარტვილი	15,197	7,407	75,384	97,987
63	66	ხობი	13,422	5,716	67,150	86,287
64	67	ზუგდიდი	18,039	23,814	121,169	163,022
65	68	წალენჯიხა	11,669	3,724	60,370	75,763
66	69	ჩხოროწყუ	14,629	3,616	57,701	75,946
67	70	ფოთი	10,901	5,216	72,365	88,482
68	79	ბათუმი	17,474	12,370	153,787	183,631
69	80	ქედა	12,085	4,765	64,294	81,144
70	81	ქობულეთი	16,948	10,293	112,272	139,513
71	82	შუახევი	13,707	13,037	66,308	93,052
72	83	ხელვაჩაური	13,944	13,179	88,155	115,278
73	84	ხულო	15,474	12,897	80,158	108,528